საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 8 17 01986245

18/08/2017

შპს „ბუერი“-ს დირექტორს
ბატონ ლაშა თოფურიას
ქ.თბილისი, შ. ნუცუბიძის მე-2 მ/რ, 2კვ. N12 კორპ. ბ.N23
ტელ: 599 57 31 66

ბატონო ლაშა,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შპს „ბუერი“-ს შორის 2017 წლის 06 აპრილს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N255 ხელშეკრულების თანახმად, თქვენმა ორგანიზაციამ აიღო ვალდებულება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით, თვეში ერთხელ შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად მოგეწოდებინათ შოკოლადი და კარამელის კამფეტი.

შს სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტში შემოსულია შს სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის 2017 წლის 16 აგვისტოს N1970019 სამსახურეობრივი ბარათი, საიდანაც ირკვევა, რომ მიმდინარე წლის ივნისის თვეში მოწოდებული იქნა შოკოლადი 6 006 კგ. (გამოშვების თარიღი – 20.04.2017), ივლისის თვეში 6 106,10 კგ. (გამოშვების თარიღი – 12.06.2017), ხოლო აგვისტოს თვეში 335,34კგ. სამივე მოწოდებულ პარტიას თან ახლდა პროდუქტის კვლევის ოქმები: N1171 (შპს „ეტალონი“), N4094 (შპს „ესპერტიზა+“) და N4258 (შპს „ესპერტიზა+“), რომელთა თანახმად პროდუქტი შესაბამისობაშია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ მახასიათებლებთან.

მიმინარე წლის 18 ივლისს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის განსაკუთრებულ დავალებათა III სამმართველოში მოსამსახურეთა გარკვეულმა ნაწილმა უკან დააბრუნა დღიური ნორმით გათვალისწინებული შოკოლადი შიგთავსში აღმოჩენილი ობის გამო (გამოშვების თარიღი – 20.04.2017). აღნიშნული ფაქტის შესახებ გეცნობათ და შედგა შესაბამისი აქტი (18.07.2017), რომლის თანახმად აიღეთ ვალდებულება ნაშთად არსებული წუნდებული შოკოლადი (გამოშვების თარიღი – 20.04.2017) შეგეცვალათ ახლით.

შს სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტმა 2017 წლის 19 ივლისს მოგმართათ წერილით N1718363 შოკოლადის (გამოშვების თარიღი 20.04.2017) გაფუჭების მიზეზების დასადგენად და წუნდებული შოკოლადის ეტაპობრივად გამოცვლის შესახებ.

2017 წლის 27 ივლისის წერილით N1794954 შპს „ბუერი“-მ წარმოადგინა წუნდებულ შოკოლადზე შპს „ესპერტიზა+“-ში ჩატარებული კვლევის შედეგები (გამოცდის ოქმი N4255 (25.07.2017)). საიდანაც გაირკვა, რომ შოკოლადის პარტიაში (გამოშვების თარიღი 20.04.2017) აღმოჩნდა მიკრობთა საერთო რაოდენობის გაზრდილი მაჩვენებელი. ამავე წერილით წარმოდგენილი იქნა შოკოლადის ახალი პარტიის (გამოშვების თარიღი 17.07.2017 და 19.07.2017) გამოცდის ოქმები N4253 და N4258, რომლითაც განხორციელდა წუნდებული შოკოლადის (გამოშვების თარიღი 20.04.2017) შეცვლა.

შპს „ბუერი“-ს განმარტებით დაიხვეწა ტექნოლოგიური პროცესი და მსგავს შემთხვევას ადგილი აღარ ექნებოდა. მიუხედავად ამისა შპს „ბუერი“-ს მიერ მოწოდებულ შოკოლადის მომდევნო პარტიაში (გამოშვების თარიღი - 12.06.2017) კვლავ დაფიქსირდა ანალოგიური შემთხვევა, კერძოდ ქ. ზუგდიდში – განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის განსაკუთრებულ დავალებათა II სამმართველოში.

აღსანიშნავია, რომ შპს „ბუერი“-ს მიერ წარმოებული შოკოლადის („ალეგრო“ 55გრ) შენახვის ვადაა ექვსი თვე, მაგრამ როგორც ზემოთ აღნიშნული ფაქტებიდან ირკვევა ხარისხი უარესდება გამოშვებიდან უახლოეს პერიოდში.

აღნიშნული მიზეზი ხელის შემშლელი პირობაა შოკოლადის მარაგის შექმნაში, რასაც გვავალდებულებს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა მშრალი საკვების რეზერვის შექმნის შესახებ“ შს მინისტრის N583 (26.07.2013) ბრძანება. ასევე შეუძლებელია შსს დაქვემდებარებულ დანაყოფებში გერმეტულად დახურულ პოლიეთილენის ტომრებში ერთი კაცის ნორმის შესაბამისად დაფასოვებული მშრალი ულუფის კომპლექტაციაში შოკოლადის ხარისხის კონტროლი და მისი ხშირი ჩანაცვლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შპს „ბუერი“-ს შორის 2017 წლის 06 აპრილს გაფორმებული N255 ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება შეწყვიტოს წინამდებარე ხელშელკრულება და ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.5 პუნქტის შესაბამისად მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით, რაც თანხობრივად განისაზღვრება 65 954,64 (სამოცდახუთი ათას ცხრაას ორმოცდათოთხმეტი) ლარით.

მოგმართავთ, არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოთ დაკისრებული ჯარიმა - 65 954,64 (სამოცდახუთი ათას ცხრაას ორმოცდათოთხმეტი) ლარი და შსს ეკონომიკურ დეპარატამენტში წარმოადგინოთ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას თქვენს მიმართ გაატაროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

თანხის გადახდა უნდა მოხდეს ქვემოთ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე:

მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში.
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა.
ბანკის კოდი: TRESGE22
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003287

გადახდის დანიშნულება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული ჯარიმა.
დამატებითი ინფორმაცია: ხელშეკრულება N255 თარიღი 06.04.2017 მე-11 მუხლის 11.5 პუნქტით დარიცხული ჯარიმა.

ამასთან, თქვენი მხრიდან ზემოაღნიშნული ჯარიმის მოცემულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.6 პუნქტის საფუძველზე, სს „სადაზღვეო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“-სათვის მოთხოვნილი იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია №FG/17 015365.

დამატებით გაცნობებთ, რომ „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის N19 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შპს „ბუერი“-ს შავ სიაში რეგისტრაციის მიზნით შესაბამისი მიმართვა გაიგზავნება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში.

დანართი 34 ფურცელი.

პატივისცემით,